## ᲗᲔᲑᲔᲠ3Ლ**Ი**ᲦᲐᲜ

"ᲐᲮᲐᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ" ᲔᲠᲗᲐᲦ

"ბიტლზი დღიდან დღემდე"

**ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲦ 17 ᲚᲐᲠᲘ** 



ფასი: 50 თეთრი

**№**29 (6955) პარასკევი, 5 თებერვალი, 2016

# ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ "ᲛᲐᲔᲡᲒᲠᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ



"ადამიანები რუსთავი 2-დან უნდა გადმოვრთო"

თავს ვერ ავიფეთქებ და შაჰიდის ქამარს ვერ გავიკეთებ. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, თუ გამომივა, მინდა, რომ ჯერ მფლობელების კანონიერება დამტკიცდეს



"გაიტანეთ ეს კაცი!"



3ᲠᲔᲖᲘᲦᲔᲜᲒᲘᲡ ՈᲜᲡᲒᲘᲒᲣᲒᲡ ეძლიეოებს"





ሐኃቆበ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ

อทวงกตง

..ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

യുപ്പായില്ലെ

ᲛᲣᲮᲐᲨᲐᲕᲠᲘᲐ: "ᲜᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲦᲝᲔᲑᲐᲡ กลว๛วงก გაღაუწუოა"





რა მდგომარეობაშია მომღერალი

<u>83.</u>3



ეკა ბესელია

თინა

ბოკუჩავას:

"უზრდელი

ქალი ხარ!"

374673336931 ᲥᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲩᲮᲣᲑᲔᲡ



თუ მუდმივი მოსამართლეები გახდნენ, კატასტროფა გარდაუვალი იქნება"

# ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ "ᲛᲐᲔᲡᲒᲠᲝᲡ" ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

გუშინ, 4 თებერვალს, ტელეკომპანია "მაესტროს" დამფუძნებელთა კრება გაიმართა, რომელზეც ტელეკომპანიის ახალ გენერალურ დირექტორად ლევან გაჩეჩილაძე აირ-

ძალიან დიდი ტვირთი უნდა ავილო ჩემს თავზე, რომ "მაესტროს" რეიტინგი გავზარდო, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ კრების დაწყებამდე განაცხადა.
მან აღნიშნა, რომ მისი და

მან აღნიშნა, რომ მისი და მისი ძმის მიზანია, გაკოტრებული ტელევიზია გადაარჩინონ.

— ეს არ არის აქციონერთა პირველი კრება. მე არაერთხელ დავაყენე საკითხი, რომ მთლიანად კომპანია შემასწავლინონ და მე დავდებ გეგმას ფინანსური კრიზისიდან გამოსასვლელად. მთავარია, რომ ტელეკომპანიის რეიტინგი 15%-დან 4%-მდე არის დაწეული. ჩემი ძმის სატელევიზიო კრეატიული აზროვნების მეშვეობით იმედი გვაქვს, რომ რეიტინგს ავწევთ, — განაცხადა

ლევან გაჩეჩილაძემ.
მან კომენტარი გააკეთა ირაკლი რუხაძის მონაწილეობაზე "მაესტროს" ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში.

— ირაკლი რუხაძემ ფული გვასესხა, ჩვენი დიდი ხნის მეგობრობიდან გამომდინარე იმიტომ, რომ მედია იყოს თავისუფალი და ფინანსურად დამოუკიდებელი, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

მისი თქმით, "მაესტროს" ფორმატი შეიცვლება და განხორციელდება ბევრი სიახლე, ყველაფერი კი იქნება გამჭვირვალე.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ყველა მნიშვნელოვანი კადრი დარჩება ტელევიზიაში.

პარტნიორთა კრებაზე მისულ გია გაჩეჩილაძესა და არხის გენერალურ დირექტორ ბაია გადაბაძეს შორის შელაპარაკება მოხდა. "მაესტროს" 55% წილის მფლო-

"მაესტროს" 55% წილის მფლობელმა გია გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ტელეკომპანიის გარშემო განსაკუთრებული არაფერი ხდება.

— არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ერთი დირექტორი იცვლება მეორეთი, ვისით იცვლება? ვადასტურებ, რომ ლევან გაჩეჩილაძეზეა საუ"ადამიანები რუსთავი 2-დან უნდა გადმოვრთო"



ბარი. ტელევიზიის რეიტინგი 15%დან 4%-ზე ჩამოვიდა. ეს საკმარისია იმისთვის, რომ შეიცვალოს დირექტორი თუ არა? — იკითხა გაჩეჩილა-

მისივე თქმით, სანამ იგი ტელევიზიის 25%-ს ფლობდა, არ ერეოდა "მაესტროს" საქმიანობაში, რადგან მართვა სხვას ჰქონდა გადაცემული.

არხის გენერალურმა დირექტორმა ბაია გადაბაძემ გია გაჩეჩილაძეს იმ ფულის წარმომავლობაზე განმარტების გაკეთება მოსთხოვა, რითაც მან ტელეკომპანიის წილები შეი-

— მე გეკითხებით ირაკლი რუხაძეზე, რომელმაც გაუშვა ინგა გრიგოლია, რომელმაც გაუშვა ლევან ჩხაიძე, რომელიც დღეს ჩემთან მუშაობს, განაცხადა გადაბაძემ.

ამ განცხადებას გია გაჩეჩილაძემ შანტაჟი უწოდა და მას ტელევიზიაში დარჩენა შესთავაზა.

— ბაია, შენ რასაც აკეთებ, ეს არის შანტაჟი. როგორც შენ გინდა, თუ გინდა დარჩი, თუ გინდა — წადი, — უთხრა გაჩეჩილაძემ.

– მე გთავაზობთ, რომ დავრჩები და ერთად ვმართოთ ტელევიზია, ოღონდ სარედაქციო დამოუკიდებლობას შევინარჩუნებთ. მე არასდროს წარმომედგინა, რომ მე და შენ სხვადასხვა მხარეს ვიდგებოდით. მე არ მინდა, რომ ირაკლი რუხაძემ და სხვა ტელეკომპანიის მმართველებმა გადა-



## "ირაკლი რუხაძემ ფული გვასესხა"

თელონ ჩვენი დამოუკიდებლობა, – განაცხადა ბაია გადაბაძემ.

გია გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებთან დაადასტურა, რომ ორი დღის წინ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ნამდვილად შეხვდა.

— პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა მქონდა, ის ჩემი მეგობარია, ორ დღეში ერთხელ ვხვდები და რა არის პრობლემა? "მაესტროზე" არ გვისაუბრია. სხვა თემებზე იყო საუბარი. მეგობარს და ამხანაგს რაზე ვესაუბრები, ამას არ ვეტყვი მედიას, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

"მაესტროს" ყოფილი გენერალური დირექტორი ბაია გადაბაძე აცხადებს, რომ მუშაობს გეგმაზე, რომელსაც "მაესტროს" ჟურნალისტებს შესთავაზებს.

როგორც ბაია გადაბაძემ რუსთავი 2-ის ეთერში განაცხადა, მას აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ არჩევნების წინ "მაესტროს" გარკვეული კონტროლის ქვეშ მოქცევა ხდება.

 მე ვმუშაობ გეგმაზე, თუ რა შემიძლია შევთავაზო ჟურნალისტებს, რათა მაუწყებლობას არ შეექმნას საფრთხე. ეს შენობა, რომელშიც მაუწყებლობს ტელეკომპანია, არ ეკუთვნის შპს "მაესტროს", ეს ტექნიკა არ ეკუთვნის მას, ეს ყველაფერი მაკას ასათიანს ეკუთვნის. მაინტერესებს, როგორ იფუნქციონირებს ტელევიზია, რომელსაც იჯარის დავალიანება აქვს, რომელთანაც იჯარის ხელშეკრულება შეიძლება გაწყდეს. ეს სხვისი შენობაა, კერძო საკუთრებაა, — განაცხადა გადაბაძემ.

მისი თქმით, მიმდინარეობს მუშაობა გეგმაზე, რომ მაუწყებლობა არ შეწყდეს.

— დღეს საშუალება გვაქვს ლიცენზიის აღების და ავტორიზაციის გავლის, ეს საშუალებაც არსებობს და ჩვენ ვმუშაობთ ამ გეგმაზე. მე რა ძალაც მაქვს კანონიერი, იმ ძალას მივმართავ. თავს ვერ ავიფეთქებ და შაჰიდის ქამარს ვერ გავიკეთებ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, თუ გამომივა, მინდა, რომ დამტკიცდეს ჯერ მფლობელების კანონიერება, – განაცხადა გადაბაძემ.

აქციონერთა კრების დასრულების შემდეგ ლევან გაჩეჩილაძემ კომენტარი გააკეთა.

 მე ჩემი პრინციპების გადახვევას არ ვაპირებ – თავისუფლება უპირველეს ყოვლისა, – განაცხადა მან. გაჩეჩილაძის თქმით, იგი აპირებს კომპანიის შესწავლას და უახლოეს მომავალში ცვლილებებს არ გეგმავს.

— სანამ კომპანიას არ შევისწავლი ყველა მიმართულებით, კონტენტის, ფინანსური დამოუკიდებლობის,
ინტელექტუალური მიმართულებით
ცვლილებას არ ვაპირებ. მერე ერთბამას. ამისთვის მჭირდება დრო. არ ვარ
ინფორმირებული, კონკრეტულად რა
მძიმე პროცესები მიდის "მაესტროს"
შიგნით. ინფორმირებული ვარ მხოლოდ ზოგადად, რომ მძიმე პროცესები მიდის ხელფასებთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. არავის გა შვებას
არ ვაპირებ — ინტელექტუალური აზ
როვნების გამოყენებისკენ ვარ მოწოდებული, — განაცხადა გაჩიჩილაძემ.

დებული, — განაცხადა გაჩეჩილაძემ. მისი თქმით, "მაესტროს" მართვა არის უდიდესი პასუხისმგებლო-

— მე მჭირდება ძალიან ბევრი ინფორმაცია და ბაიასთან ერთად მინდოდა დამეგეგმა ყველა მომავალი ნაბიჯი და იქ გამოჩნდებოდა, ვინ, სად, 
როგორ და რანაირად არის მონადინებული მუშაობაზე. მე ჩემი პრინციპების გადახვევას არ ვაპირებ — თავისუფლება უპირველეს ყოვლისა. მთავარი ლოზუნგია, გადმოვრთოთ ადამიანები რუსთავი 2-დან. რუსთავი 2ის რეიტინგს მინდა ვაჯობო, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

– ბაია გადაბაძისთვის კონკრეტული პოზიცია არ შეგვითავაზებია, თუმცა გვინდოდა, ერთად აგვეწია ის მძიმე შტანგა, რომელიც ასაწევია, – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ პარტნიორთა კრების დასრულების შემდეგ. მისივე თქმით, გადაბაძემ აღ-

ნიშნულ შეთავაზებაზე უარი განაცხადა.

გია გაჩეჩილაძემ კიდევ ერთხელ განმარტა ბაია გადაბაძის პოსტიდან გათავისუფლების მოტივი.

— მისი გაშვების მიზეზი არის "მაესტროს" რეიტინგის კლება, ტე-ლევიზიის გაკოტრებაზე მის მიერ შეტანილი განცხადება — ფინანსური მდგომარეობა, სხვა რა უნდა იყოს მიზეზი? — განაცხადა გია გაჩეჩილა-ძემ.

მან თქვა, რომ მიიღო გადაწყვეტილება, "მაესტროს" მისმა ძმამ, ლევან გაჩეჩილაძემ უხელმძღვანელოს.

## ᲗᲘᲜᲐ ᲮᲘᲦᲐᲨᲔᲚᲘ: "ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲒᲣᲠᲘ ᲦᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲠᲥᲔᲒᲘ ᲣᲜᲦᲐ ᲰᲥᲝᲜᲦᲔᲡ"

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ კრიზისების მართვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოები არ უნდა გაერთიანდეს.

ამის შესახებ ხიდა შელმა ჟურნალისტებს "თავისუფალ დემოკრატების" ინიციატივაზე კომენტირებისას განუცხადა, რომელიც პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატმა ვიქტორ დოლიძემ გააჟღერა და რომლის მიხედვითაც კრიზისების მართვის საბჭო ეროვნული უში შროების საბჭოს შემადგენლობაში უნდა გაერთიანდეს.

თინა ხიდაშელი:

— მე არ ვფიქრობ, რომ ეს სწორი — ინიციატივაა, თუმცა ბუნებრივია, ნებისმიერი წინადადება განხილვას ექვემდებარება და შეგვიძლია ვიმსჯელოთ. თა-ვისთავად, ქვეყნის ახალი კონსტიტუციური წესრიგი ამ საკითხზე ძალიან ნათელ პასუხებს იძლევა.

ქვეყანას ჰყავს აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის მეთაურიც აღარ არის პრეზიდენტი, შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს კრიზისის დროს, მისი ეფექტური და სწრაფი მართვის ბერკე-

ტი უნდა ჰქონდეს. თუ ვინმეს აქვს განცდა, რომ კანონმდებლობაში რამე



დასახვეწია, ეს აბსოლუტურად ლეგიტიმურია და შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მაგრამ ამ ორი საბჭოს არსებობა აბსოლუტურად მნიშვნელოვანია.

მისივე განმარტებით, მაგალითისთვის საომარი მოქმედებების დროს უშიშ-როების საბჭო იკრიბება და მსჯელობს, ხოლო 13 ივნისის მსგავსი მოვლენების დროს კრიზისების მართვისა და უსაფრთხოების საბჭო.

— არსებობს საომარი მდგომარეობა, როცა ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი იწყებს მუშაობას საფრთხეებზე და ამ საკითხებზე მუშაობს ეროვნული საბჭო, მაგრამ არსებობს კრიზისები, მაგალითად 13 ივნისის მსგავსი, რომელიც იმედია აღარ განმეორდება, ამაზე პასუხისმგებლობა მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკისრება.

აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს უნდა ჰქონდეს საშუალება მართოს ეს კრიზისი. სწორედ ამისთვის არის შექმნილი ეს საბჭო, — განმარტა თავდაცვის მინისტრმა.

## "ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ" ᲓᲘᲠᲔᲥᲖᲝᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲡ

"გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დირექტორი ნიკა ქიზიყურაშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა. აღნიშნული "ინტერპრესნიუსს" რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დაუდასტურეს, თუმცა, როგორც უწყებაში განმარტავენ, გათავისუფლების პროცედურა საბოლოოდ ჯერ არ დასრულებულა.

- ნიკა ქიზიყურაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან
დაკავშირებით პროცედურები დაწყებულია, თუმცა კანონით შესაბამისი პროცედურებისთვის 3-დღიანი
ვადაა გათვალისწინებული, — განუცხადეს "ინტერპრესნიუსს" სამინის-



უწყებაში "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიზეზებზე არ საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ ეს მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც ქიზიყურაშვილის გათავისუფლების პროცედურა დასრულდება.
"გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" რეგიონული განვითარებისა

"გაერთიანებული ხყალძოძარაგების კოძპანია რეგიოხული გახვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს-ა. აღნიშნული კომპანიის დირექტორად ნიკა ქიზიყურაშვილი 2015 წლის 1-ლ ივნისს დაინიშნა.
ინტერპრესნიუსი

abaen mamba

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, ზოსო გოგინაშვილი მთავარი რედაქტორი – ზოსო გოგინაშვილი რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები ფთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი ზაფინანსო ზამსახური – კლარა ბალავაძე სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55 გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი დირექტორი – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა *კ*ანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თპილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და
ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე
გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო
განცზადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება
აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



# "ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲒᲘᲡ ᲘᲜᲡᲒᲘᲒᲣᲒᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ"

3

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში შექმნილ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს, პრეზიდენტის ვიზიტს პარლამენტში და საარჩევნო სამზადისს "ახალ თაობასთან" ინტერვიუში ექსპერტი**რამაზ საყვარელიძე** აფასებს.

ბატონო რამაზ, საზოგდოებისთვის უჩვეულო ფაქტი მოხდა, მთავრობამ გადაწყვიტა, პრეზიდენტისთვის
მოესმინა. რა გზავნილები ამოიკითხეთ
მარგველა შვილის გამოსვლაში?

— მთავრობამ გადაწყვიტა, რომ დაემთავრებინა ის ოდიოზური სიტუაცია, რაც იყო შექმნილი ამ თემაზე და ამ ურთიერთობას მისცა ნორმალური სახე, რომელიც რეგლამენტითაა გაწერილი. ვფიქრობ, რომ ამან დადებითი როლი შეასრულა. ამ სასიამოვნო და საპასუხო პოზიტივმა პრეზიდენტის გა-

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— ვგულისხმობ პრემიერ-მინისტრის ინიციატივების შეფასებას. კარგია, რომ ნორმალიზაციისკენ წავიდა პროცესი. დაძაბულობა მოსახლეობას არ მოსწონს და მისასალმებელია, რომ დაძაბულობაზე უარი თქვეს პოლიტიკოსებმაც. მე მგონი, ყველას მოუხდა კლიმატის ეგ ცვლილება.

– მარგველაშვილის გამოსვლაზე რას იტყოდით?

— პრეზიდენტმა, რომელსაც ყოველთვის აქვს აქცენტი გაკეთებული საქართველოს ევროპულ კურსზე და ეს აქცენტი ახლაც ჭარბად იყო, ყურადღება მიაქცია იმას, რომ საქართველოს პერსპექტივები ეხსნება აზიის მიმართულებით.

– გოგი თოფაძის განცხადებაზე რას იტყვით?

— ეს გაუგებრობა იყო, რადგან ანალოგიური ელემენტები არ იყო სხვა-გან. უმრავლესობის სხვა წევრების შეფასებაში და ვოლსკის შეფასებასაც შეგახსენებთ. მან, როგორც უმრავლესობის ლიდერმა, არ მიიღო თოფაძის გამოსვლა და ჩათვალა, რომ მას ბოდიში აქვს მოსახდელი.

– იყო საუბარი, რომ ის პარლამენტს ტოვებდა და როგორ აღმოჩნდა იმ დროს პარლამენტში?

— თანაც ფრაქციის თავმჯდომარის რანგში. მე თოფაძის განცხადებას არ მივიჩნევდი უმრავლესობის განცხადებად. ეს უფრო თოფაძის პირადი პოზიციაა და ამ პირად პოზიციაშიც საკამათო ძალიან ბევრია.

– დათბა პირველ პირებს შორის ურთიერთობა, თუმცა ივანიშვილის დამოკიდებულება მარგველაშვილის მიმართ არ შეცვლილა. რა მოხდა?

— არჩევნებს კორექტივები შე
- არჩევნებს კორექტივები შეაქვს ყველაფერში. მე უფრო აქცენტს
გავაკეთებდი იმ ცვლილებაზე, რაც მოხდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში
კვირიკაშვილის მოსვლით. განვლილი
პერიოდიც უჩვენებს, რომ კვირიკაშვილი საერთოდ არ არის კონფროტაციის სტილის პიროვნება. ის ყოველთვის
ცდილობს მოძებნოს არაკონფროტაციული ურთიერთობის გზები.

 მან ეს სტილი ახლა მოირგო?
 არა. ის ასეთი იყო ადრეც, მან ეს სტილი გადმოიტანა მინისტრთა კაბინეტში. ეს ხაზი მან ზოგადად გაატარა და არა მხოლოდ მარგველაშვი-



ლის მიმართ. ეს არის სწორი ხაზი და, როგორც ჩანს, კვირიკაშვილმა ამაში თავისი ამჟამინდელი პარტნიორებიც დაარწმუნეა. ამ დარწმუნებაში ერთ-ერთი არგუმენტი ალბათ იყო არჩევნები, რადგან საზოგადოებას კონფროტაციის სტილი წამყვანი პოლიტიკოსების მხრიდან არ მოსწონს. კონფროტაცია ყოველთვის ზედმეტი დაძაბულობის მატარებელია.

გამოდის, რომ დანარჩენები
თვალთმაქცობენ? გვახსოვს მათი პრეზიდენტისადმი დამოკიდებულება ღარიბაშვილის პერიოდში.

— დანარჩენები დიდნილად არიან შემსრულებლები. პროცესის ბედილბალს წყვეტენ ლიდერები. ეს ნუ გაგვიკვირდება, რადგან ყველა ეპოქაში დაახლოებით ეგ სიტუაცია იყო. გუნდის ხელმძღვანელი ქმნის ამ გუნდის კლიმატს. გამოიცვალა ხელმძღვანელი და გამოიცვალა კლიმატიც.

– უმრავლესობის სიის პირველი ნომერი გიორგი კვირიკაშვილი იქნება. ეს რამდენად მომგებიანია "ოცნებისთვის"?

— ვერ გეტყვით, რამდენად მომგებიანია. გააჩნია, სხვა რა ალტერნატივები აქვთ.

– ივანიშვილი გამორიცხულია? თუ არის შესაძლებლობა, ამგვარ სიურპრიზს ველოდოთ?

– არ არის გამორიცხული არც ეს სიურპრიზი და არც ის, რომ იპო- ვონ სხვა, უფრო მიმზიდველი ფიგურა და ის ჩაუყენონ სიას სათავეში. კვირიკაშვილის სიის სათავეში ჩასმა გულისხმობს იმას, რომ არჩევნების მერე ის პარლამენტის მიერ დაინიშნება ისევ პრემიერ-მინისტრად. თუმცა შემდეგ დგება მეორე ნომრის საკითხი, რადგან ის მეორე ნომერი პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატად განიხილება. ასე რომ, არ ვიცი, ეს რამდენად მომგებიანია. მე მგონი, ჯერ არც არის წერტილდასმული ეგ თემა, თუ ვინ იქნება ნომერი პირველი "ოცნების" სიაში.

– პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ისევ რესპუბლიკელი დაიკავებს?

— გააჩნია, მანდატების რა რაოდენობა ექნება ხელზე "ქართულ ოცნებას". შეიძლება ახალი კონფიგურაციის პარლამენტმა ამ მიმართულებით განსხვავებული ორიენტიაცია აილოს. გააჩნია, ვინ შევა პარლამენტში. ყველაზე მეტი შანსი ვისაც აქვს, ეს არის პატრიოტთა ალიანსი და ნინო ბურჯანაძის პარტია. მათ კი შესაძლებელია რესპუბლიკელების წინ წამოწევას მხარი არ დაუჭირონ.

– გიორგი მარგველაშვილი აპირებს თუ არა პრეზიდენტის პოსტზე კვლავ კენჭისყრას?

— ძალიან გამიკვირდებოდა,რომ მარგველაშვილს არ ჰონდეს ამისი სურვილი. მე არ მგონია, რომ მარგველაშვილი ოცნებობდეს ისევ სამეცნიერო ასპარეზზე. მას ჯერ კიდევ არ აქვს ამოწურული თავი პოლიტიკურ ასპარეზზე.

– თვლით, რომ მიიღებს მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში?

— დიახ, ვთვლი, რომ მას ამის სურვილი აქვს და თუ ეს ასეა, მაშინ მას მოუწევს იმაზე ფიქრი, ვინ იქნება ის გუნდი, რომელიც მას მხარს დაუჭერს.
— ვინ იქნება მისი გარემოცვა?

— მთავარი ინტრიგა მანდ არის და, როგორც წესი, ყველაზე სახიფა- თო ინტრიგა, იმიტომ, რომ ქართულ- მა პოლიტიკამ იცის მკვეთრი, მკაფიო ფიგურები, რომლებიც თავის გარემოცვს შეეწირნენ.

 მარგველაშვილი იბრძვის, რომ უფრო ძლიერი იყოს პრეზიდენტის ინსტიტუტი. რამდენად გამოუვა ეს?

საკმაოდ შედეგიანია მისი მოღვაწეობა ამ კუთხით. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის ინსტიტუტი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ მოსახლეობას არც კი უნდა გახსენებოდა, ვინ არის პრეზიდენტი. თუმცა ის საკმაოდ აქტიური და ცნობადი ფიგურაა, ეს ყველაფერი კი მხოლოდ მარგველაშვილის ძალისხმევის შედეგია.

## ᲠᲐᲢᲘ ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲛᲝᲔᲙᲘᲓᲐ

რა მდგომარეობაშია მომღერალი



გუშინ, 4 თებერვალს, ჟვანიას მოედანზე რატი დურგლიშვილის მანქანა უეცრად აალდა. მომღერა-ლი ვარჯიშიდან სახლში ბრუნდებოდა. მან მანქანიდან გადმოხტომა მოასწრო და პატრულიც დროულად მივიდა სახანძროსთან ერთად.

რატი დურგლიშვი**-**

ლი: \_ მი

— მთელი თბილისი მირეკავს. შოკში ვარ. არ ვიცი, რა არის მიზეზი, მანქანა ძველია და, ეტყობა, ტექნიკური პრობლემა იყო. ზუსტად ნამდვილად არ ვიცი მიზეზი. მანქანით ვარჯიშიდან ვბრუნდებოდი, როდესაც უეცრად

მისი წინა ნაწილი აალდა და ცეცხლი მოეკიდა. სასწრაფოდ გავაჩერე და გადმოვხტი მანქანიდან. ადამიანები ძალიან დამეხმარნენ. პატრული ზუსტად ორ წუთში მოვიდა, გადა-

ძალიან დამეხმარნენ. პატრული ზუსტად ორ წუთში მოვიდა, გადაკეტეს ქუჩა, გამოიძახეს სახანძრო ბრიგადა და ცეცხლი მათ ჩააქრეს. კიდევ კარგი, არავინ დაშავდა.

მე არაფერი დამიშავდა, საბედნიეროდ, ღმერთის წყალობით, გადავრჩი და სხვაც არავინ დაშავებულა.


მანქანა კატასტროფულ მდგომარეობაშია. ასეთი საშინელება მხოლოდ კინოში მინახავს. წინა ნაწილი სრულიად დამწვარია.

## ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲦᲠᲝ ᲞᲝᲡᲞᲘᲒᲐᲚᲨᲘ Ე.Წ. ᲦᲝᲠᲘᲡ ᲒᲠᲘᲞᲘᲗ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲠᲦᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

H1N1-ით, ე.წ. ღორის გრიპით გორის სამხედრო გოსპიტალში ჯარისკაცი გარდაიცვალა. ინფორმაცია "ინტერპრესნიუსს" თავდაც-ვის სამინისტროში დაუდასტურეს. მათი განმარტებით, გარდაცვლილი 38 წლის იყო. ის სპეციალური ოპერაციების ძალებში მსახურობდა.

ქართველი ჯარისკაცი გრიპის ვირუსით გორის სამხედრო ჰოსპიტალში რამდენიმე დღის განმავლობაში მკურნალობდა. გარდაცვლილს 4 შვილი დარჩა.

გორის სამხედრო ჰოსპიტალში გრიპის ვირუსით ინფიცირებული სულ 12 ჯარის ააცია მოთავსებული. მა



რისკაცია მოთავსებული. მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებე-

ინტერპრესნიუსი

#### 

ეკა ბესელია თინა ბოკუჩავას: "უზრდელი ქალი ხარ!"

შორენა მარსაგიშვილი



სანამ დეპუტატები ამ საკითხზე ნერვებს იწყვეტდნენ, ციხისძირში გიგანტური ხეები ამოთხარეს და ურეკის გზას გაუყენეს.

ამოთხარეს და ურეკის გზას გაუყენეს. გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ აღშფოთებული ერი დააწყნარა და განაცხადა, რომ გიგანტური ხეების გადარგვა გარემოს დაცვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია და მრავალწლიანი ხეების გადარჩენას ემსახურე-

ხეების გადარგვასთან დაკავშირებით სხვა პოზიცია აქვთ ნაციონალური მოძრაობის წევრებს. ისინი ციხისძირში ჩასვლასა და სიტუაციის ადგილზე შესწავლას ითხოვდნენ.

კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებს განემარტათ, რომ 3 ძირი გიგანტური ხის ამოღების უფლება აჭარის მთავრობამ 31 დეკემბერს კომპანია ზიმოს მისცა. კომპანია ბიძინა ივანიშვილის დაკვეთას ასრულებს, რომელსაც ეს უნიკალური საუკუნოვანი ნარგავები შეკვეთილში საკუთარ ტერიტორიაზე დენდროლოგიური პარკის მოსაწყობად გადააქვს.

ეკა ხერხეულიძემ ამასთან დაკავშირებით ივანიშვილს დიაგნოზიც დაუსვა.

— ცალკე თემაა მანიაკალური მისწრაფება გიგანტური ხეების სახლში წაღების და იქ დარგვის, მაგრამ ასევე არის ეგზისტენციალური საფრთხე, როდესაც ადამიანები რჩებიან საჭირო კომპონენტების გარეშე, როგორიცაა წყალი, — განაცხადა ხერხეულიძემ.

მისი კოლეგა და თანაპარტიელი ლევან ბეჟაშვილი კი სამუშაო ჯგუფის შექმნას ითხოვს.

— ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც გავიდოდა ადგილზე, ნახავდა, შესაბამის დოკუმენტაციას შეისწავლიდა და კომიტეტის მომდევნო სხდომაზე მოხსენებას გააკეთებდა. აჟიოტაჟი ყველაზე მავნებელია ამ საკითხზე, უკეთესია, პროფესიულ სფეროში გადავიდეს ეს მსჯელობა, — განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობის კიდევ ერთმა წევრმა სერგო რატიანმა ჟორჟოლიანს მოუწოდა, რომ კომიტეტმა ხეების ამოღების შეჩერების თაობაზე მიმართვა გააკეთოს.

– არა მხოლოდ გარემოს დაცვის, არამედ ეკონომიკის სამინისტროდანაც მოსაწვევია ხალხი, რომლებმაც თქვეს, რომ 3 ხეზეა გაცემული ნებართვა. არის რამდენიმე ინფორმაცია, საუბარია 3, 7 და 40 ხეზე. ზუსტად არ ვიცით, რამდენზეა ნებართვა, მაგრამ ხის გადარგვის პროცესი მიმდინა-

რეობს და გავაკეთოთ კომიტეტის მიმართვა, რომ სანამ კომიტეტი არ შეისწავლის საქმეს, შეჩერდეს ხეების ამოღება, — მოითხოვა რატიანმა.

გია ჟორჟოლიანი აღელვებული ნაციონალების დაწყნარებას შეეცადა და დეპუტატებს თბილისში ჩასვლის შემდეგ სპეციალისტებთან შეხვედრა შესთავაზა.

— მივმართოთ სამინისტროს, შესაბამისი სპეციალისტები მოვიწვიოთ. იმ კვირის განმავლობაში გავაკეთოთ ეს და ამის შემდეგ მოვაწყოთ გასვლითი სხდომა, — განაცხადა ჟორჟოლიანმა.

მისივე განმარტებით, ხეების თე-

მაზე კომიტეტი მუშაობას გააგრძელებს.

გაცილებით ხმაურიანად წარიმართა ეკა ბესელიასა და თინათინ ბოკუჩავას პოლემიკა. ქალები ერთმანეთს "სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის" შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების გამო შეებნენ.

კამათი მას შემდეგ დაიწყო, როცა კომიტეტის თავმჯდომარემ ბოკუჩავას კითხვის დასმის უფლება არ მისცა.

 ნუ ღელავთ, არანაირ კონფრონტაციულ კითხვას არ ვსვამ. კითხვა მაქვს. რას ნიშნავს, მოვითმინო, ახლა თუ მაქვს კითხვა, არ შეიძლება, პარლამენტის წევრმა ახლა დასვას კითხვა? რა მიდგომაა ეს. მე ძალიან მარტივი კითხვა მაქვს, — მიმართა ბოკუჩავამ თავმჯდომარეს.

აშან იქვე შყოფი ბესელია აღაშფოთა. მან კოლეგას ურჩია, რომ ჯერ მოსმენის კულტურა ისწავლოს და კითხვა შემდეგ დასვას.

— ვიდრე პასუხს გაიგებთ, მოსმენის კულტურა გჭირდებათ იქამდე. უზრდელი ქალი ხარ! — მიაკივლა ბესელიამ ბოკუჩავას. ვალში მას არც ბოკუჩავა დარჩენია და ბესელია კოლეგებისადმი უპატივცემულობაში დაადანაშაულა.

— მოსმენის კულტურაც მაქვს და საუბრის კულტურაც. კოლეგების მიმართ ძალიან სწორი დამოკიდებულებაც მაქვს, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ, — განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

#### <u>.</u>ᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ-ᲡᲐᲠᲔᲐ**ᲑᲘᲚ**ᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲟᲘ

ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

ร 555-02-32-08. **ป**งตรงชิทธิก ซิกปิศักง



# 3)4UBP3326 QJ 747 QLASTOF 3746793269U6765

შორენა მარსაგიშვილი

კოალიცია "ქართულ ოცნებაში" მრეწველების დარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, ახლა კი ყველამ იცის, რომ მათ კო-

ალიციის დატოვება მოუწევთ, ფრაქციის ლიდერს კი, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ აპირებდა პარლამენტიდან წასვლას, შესაძლოა, დეპუტატის მანდატი შეუჩე-

გოგი თოფაძის სტა-ლინურ და ანტინატოურ განცხადებებს ერი მეტ-ნაკლებად გაგებით ეკიდებოდა, მის ბოლო განცხადებას კი დიდი აღშფოთება მოჰყვა. 3 თებერვალს მან პარლამენტში მყოფ პრეზიდენტს უსაყვედურა, წლების წინ ქართველი ხალხი დაუნს როგორ შეადარეო.

არასამთავრობოები, პოლიტიკოსების ნაწილი და საზოგადოება მიიჩნევენ, რომ დეპუტატმა დაუნის სინდრომი სალანძღავ კონტექსტში გამო-

მათ გუშინ, 4 თებერვალს, საპროტესტო აქციაც გამართეს და თოფაძისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვეს.

– გაიტანეთ ეს კაცი პარლამენ-– ითხოვდნენ აქციის მონაწიტიდან, ლეები.

მათი განცხადებით, კანონმდებელი, რომელიც სხვა ადამიანებს უნდა იცავდეს დისკრიმინაციისგან, დაუნის სინდრომის სახელწოდების დამაკნინებელ კონტექსტში გამოყენებით შეურაცხყოფს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა ღირსებას და აძლიერებს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა მიმართ აგრესიას.

ამ თემაზე სკანდალი განცხადების გაკეთებისთანავე აგორდა. საზოგადოების ნაწილმა მაშინვე მოითხოვა დეპუტატისგან ბოდიშის მოხდა. თო ფაძეს ბოდიშის მოხდისკენ საპარლა"გაიტანეთ ეს კაცი!"

მენტო ფრაქცია "ქართული ოცნების" ლიდერმა გია ვოლსკიმაც მოუწოდა. 3 თებერვალს ბოდიშის მოხდა-

უარს ამპობდა. მეტიც, ის ლამის

ურნალისტებსაც კი დაეჭიდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მედიამ კომენტარისთვის მას სამუშაო ოთახში მიაკით-

თოფაძემ რამდენიმე წუთს კი ითმინა მათი კითხვები და მერე იყვირა: გადით, გადით, გადით! გადით-მეთქი, ახლა რა ვქნა, ქალებს გეჭიდაოთ?

საქმე ჭიდაობამდე არ მისულა. როგორც "ახალი თაობისთვის" ცნობილი გახდა. მას ზემოდან ანუ ბიძინა ივანიშვილის კანტორიდან დაურეკეს და ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს, შესაძ-

ლოა. ურჩიეს. შუშის სასახლიდან მოსული რჩევა დეპუტატმა გაითვალისწინა და გუშინ, 4 თებერვალს, ბოდიში მოიხადა, თან პირობებიც წამოაყენა. ის მობოდიშებისკენ საქართველოს პრეზი-

დენტსაც მოუწოდებს. "ახალი თაობა" თოფაძის მოსაბოდიშებელს უცვლელად გთავაზობთ:

– 3 თებერვალს ჩემს გამოსვლას არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა საზოგადოებაში და ჩემი სიტყვები არასწორად იყო აღქმული. მე მხოლოდ მოვახდინე გიორგი მარგველაშ-

ვილის სიტყვების ციტირება, რომე-ლიც ჟურნალ "დრო მშვიდობაში" სათაურით "ნიჩურტა! – მე ქართველი ვარ" იქნა გამოქვეყნებული და მივუთი-

თე, რომ მსგავსი განცხადებების გაკეთება ქართველ კაცს არ ეკადრება და იმ შემთხვევაში, თუ ბატონი პრეზიდენტი ქართულ საზოგადოებას ამგვარ შეფასებას აძლევს, მაშინ მას ამ ქვეყნის პრეზიდენტობაც არ უნდა ეკადრებინა. ჩემთვის, როგორც საზოგადოების ნაწილისთვის, მარგველაშვილის ამგვარი სიტ-ყვები შეურაცხმყოფელია.

არავისთვის შეურაცხყოფის მიყე-

ნება არ მიფიქრია და თუ ჩვენი საზოგადოების ნაწილის მხრიდან ჩემი სიტყვები ამგვარად იყო აღქმული, რა თქმა უნდა, ამისთვის მათ წინაშე ბოდიშს

აქვე მოვუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს, რომ მანაც მოიხადოს საზოგადოების წინაშე ბოდიში იმ სიტყვებისთვის, რომლებითაც მან ქართველი ერი შეურაცხყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, თოფაძეს ბოდიშმა ვერ უშველა. არასამთავრობო ორგანიზაცია "მზის შვილები" თოფაძისთვის დეპუტატის მანდატის შეჩერებას ითხოვს. როგორც ორგანიზაციის ხელ-

მძღვანელმა ინგა ლოლაძემ განაცხადა, თუ თოფაძე დეპუტატის მანდატს არ დატოვებს, თბილისის ქუჩებში ფართომასშტაბიან აქციებს გამართავენ.

თოფაძის გმობისგან თავი არც ხელისუფლების წარმომადგენლებს შე-

თავდაცვის მინისტრმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაუნის სინ-დრომის მქონე პირების მხარდამჭერი ფოტო გამოაქვეყნა.

– ეს არის ჩემი პასუხი, წერს მინისტოი სოციალურ ქსელში. მანამდე კი ხიდაშელმა დეპუტამიერ გაკეთებულ განცხადებას გაუგებარი უწოდა.

– მე მეგონა, რომ ის უკვე აღარ იყო პარლამენტის წევრი, რადგან ყველას გვახსოვს, მან ეს განცხადება ერთხელ უკვე გააკეთა. აბსოლუტურად გაუგებარი იყო ის განცხადებები, რომ-ლებიც მისგან პარლამენტის ტრიბუნიდან მოვისმინეთ, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში თინა ხიდაშელ-

დეპუტატს შეფასებები თეა წულუკიანმაც დაუგმო. იუსტიციის მინისტრმა თოფაძის გამო თავად მოუხადა ბოდიში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს.

ორიგინალური დიაგნოზი დაუსვა კოლეგას დეპუტატმა მურმან დუმბაძემ. ის ამტკიცებს, რომ ეს შეფასება ფორუმ.გე-ზე ამოიკითხა.

– გოგი თოფაძეს გონება ყაზბეგის ტბაში აერია, – განაცხადა მურმან

დუმბაძემ. ამის გამო მას შესაძლოა ყაზბეგის მოსახლეობამ უჩივლოს და ყაზბეგის ტბის დაბინძურებისთვის პასუხი მოსთხოვოს.

დუმბაძის ამ შეფასებამ შესაძლოა თოფაძიანელთა გაბედნიერებასაც შეუშალოს ხელი. გავრცელებული ინფორმაციით, მრეწველები ლეონიდ ჩერნოვეცკის "ბედნიერი საქართველოსთვის" რიგებში აპირებდნენ გა-დასვლას. ამ სკანდალის შემდეგ საეჭვოა, კიევის ყოფილმა მერმა ქართული ლუდის მამასთან პოლიტიკური კავშირი დაამყაროს.

თოფაძეს ტერმინოლოგია თა-მაზ მეჭიაურმაც დაუგმო. ის, თავის მხრივ, ხშირად ამკობს ეპითეტებით პრეზიდენტს, თუმცა ასეთი იაღლიში არასდროს მოსვლია.

– გადავხედე მარგველაშვილის ძველ გამოსვლებს, დებილიზმი უკვე არის შეურაცხყოფა, რასაც თუნდაც მსუბუქი ფორმით უწოდებდეს ქართველ ხალხს, რომ ეს სჭირს. თუ ეს უნდოდა ბატონ გოგის, შეიძლება უფრო მკვეთრიც ყოფილიყო მისი კრიტი-

შედარებით ლმობიერი იყო გია ჟორჟოლიანი. დეპუტატის განცხადე-ბით, გოგი თოფაძემ, სავარაუდოდ, რაღაც წყარო გამოიყენა.

– რამდენადაც ვიცი, გოგი თოფაძე განცხადების გაკეთებისას რა-ღაც წყაროს ეყრდნობოდა. საპარლამენტო ტრიბუნიდან კი ჩვენ ძალიან ხშირად ვისმენთ ბევრად უფრო არაკორექტულ განცხადებებს. ყველა ადამიანი ლაპარაკობს თავისი სტილით. ამ ციტატაზე კი, ალბათ, თოფაძეს აქვს ეყარო და თუ არა აქვს, მაშინ შეცდომაში შეიყვანა ვიღაცამ, – განუცხადა გია ჟორჟოლიანმა ჟურნალისტებს.

ერთ-ერთი მთავარი "გირჩი" გოგა ხაჩიძე კი კატეგორიულად ეწინააღ-მდეგება თოფაძის პარლამენტიდან გაგ-

დეპუტატის განცხადებით, გოგი თოფაძემ პარლამენტის მანდატი არ უნდა დატოვოს და უნდა დარჩეს იმის მაგალითად, თუ რას ნიშნავს მისნაირი აზროვნება და როგორი ადამიანი შეიძლება მოხვდეს პარლამენტში:

გოგი თოფაძემ არ უნდა დატოვოს მანდატი, არ უნდა ნავიდეს პარლამენტიდან, პირიქით, ახალი პარლამენტის არჩევამდე ასე ცოცხალ მონუმენტად უნდა იყოს პარლამენტში, რათა საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება, კარგად დაინახოს, რა არის ეს აზროვნება და როგორი ადამიანი შეიძლება იყოს მათი წარმომადგენელი, - განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილის შეფასებით კი პარლამენ-ტში გოგი თოფაძის არაკორექტულ გამოსვლას რეაგირება უნდა მოჰ-

– ძალიან არაკორექტული იყო იგი თოფაძის გამოსვლა. მისი გამოსვლის მიმართ მთლიანად საზოგადოების რეაქცია ერთსულოვანი იყო. ჩემი შეფასება მკვეთრად უარყოფითია. რაიმე სანქციები იქნება თუ არა მიღებული, არ ვიცი, მაგრაშ, ბუნებრივია, ამ გამოსვლას გარკვეული რეაგირება უნდა მოჰყვეს და მომავალში სხვა პოლიტიკოსებისთვის იყოს სამაგალითო, რომ ასეთ თემებზე ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება, – აღნიშნა დავით ზურაბიშვილმა.

### องคงายาศง" ᲛᲣᲮᲐᲨᲐᲕᲠᲘᲐ: "ᲜᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ **ᲘᲛᲔ**ᲓᲔᲑᲘ

## "ეს მოსამართლეები თუ მუდმივი მოსამართლეები გახდნენ, კატასტროფა გარდაუვალი იქნება"



ნათია ხურცილავა

სამართლის ექსპერტი, ადვოკატი**ლია მუ-ხაშავრია** "ახალ თაობასთან" ინტერვიუში სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებს აფასებს და გამოსავალზეც საუბრობს

- ქალბატონო ლია, პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას აქცენტი იუსტიციის უმაღ-ლესი საბჭოს რეფორმირებაზე გააკეთა. რამდენად მისაღებია პრეზიდენტის ეს ინიციატივა?
— სავსებით მისაღებია. პრეზიდენტმა კარ-

გი აქცენტები დასვა თავის გამოსვლაში სწორედ ამ მიმართულებით, რომ სასამართლო სისტემაში არსებული სიტუაცია განიტვირთოს და ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს. მე მეჩვენება, რომ ხელი-სუფლება პრობლემის სიმწვავეზე თვალს ხუჭავს. – შეიძლება ასე საგანგაშოდ არც არის

საქმე? თუ ფიქრობთ, რომ ამ პროცესმა შეიძლება ჩიხში მიგვიყვანოს?

– ნამდვილად არის საგანგაშო მდგომარედაუვალია, ვინაიდან პრობლემა მძიმე და საში-

#### **ᲒᲐᲮ**ᲓᲝᲛᲐ**–ᲒᲐᲡ**ᲣᲥᲔᲑᲐ 20 J8-NM M338N!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯი შებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდებ მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, ნესრიგდე ბა ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგა ნიზმი ინმინდება მთლიანად შლაკებისგან, სის ხლძარ ისისიდება ბილიბად ზლაკებისგა, ბინა ხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

น้กองๆตัวขก ชสๆกับ ขงษัตวนก, นิธสงซก ๆง ᲔᲤᲔᲥᲒᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ 1-ᲦᲐᲜ 25 ᲬᲚᲐᲛᲦᲔ კურსით **3-5** სმ-ის მომატებით. ვიტამინების ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავები კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტუ რია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამ ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიაი სასურველ შედეგამდე. ძ-60 ძეთევანს J-60 J0003960

577-29-37-41, 247-58-83

შია. ამიტომ კონკრეტული წინადადება, რომელიც პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებაში გაჟღერდა, მნიშვნელოვანია. სწორედ პარლამენტმა უნდა გადადგას ახლა მნიშვნელოვანი და ადეკვატური ნაბიჯები.

· რა იქნება ადეკვატური ნაბიჯი ამ შემთხვევაში პარლამენტის მხრიდან?

კანონმდებლობაში ცვლილებები. ეს აუცილებელია და ეს შესაბამისმა კომიტეტებმა უნდა გააცნობიე-

– ექსპერტები ამბო-ბენ, რომ სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებმა შესაძლებელია სახელმწიფოს რყევები გამოიწვი-

– აბსოლუტურად ვიზიარებ კოლეგების ამ შეფა-

სებას. სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების სხვა დანარჩენ შტოებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია და ამას ისე უბრალოდ არ ვამბობ. ის მოვლენები, რაც დღეს ხდება, უკიდურესად სახიფათოა. რთული ვითარება გვაქვს სასა-მართლო სისტემაში. სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებმა შეიძლება მთელი სახელმწიფო გადაიყოლოს ხელისუფლების დანარჩენ შტოებთან ერთად, ამიტომ ვამბობ, რომ ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს იმ ადამიანების მიერ, რომელთაც ეს ევალებათ.

– რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ პირ-ველ რიგ ში?

– ვიმეორებ, რომ საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო. პირველ რიგში ცვლილებები არის მისაღები ორგანულ კანონში, რომლითაც შესაძლებელი გახდება, არსებული იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მისი შემადგენლობა შეიცვალოს უფრო გონივრული განწყობისა და უფრო გონივრული იდეების მქონე ადამიანებით, რომლებიც ხელისუფლების ამ შტოს განვითარებისა



და რეფორმის საშუალებას მისცემენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენები მიდის იქით-კენ, რომ იმ მოსამართლეებს, რომლებითაც მთელი ჩვენი საზოგადოება არის აღშფოთებული, შეიძლება სამისდღემჩიო მოსამართლედ გამწესება დაუდგინდეთ და ისინი სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე გახდნენ მოსამართლეები. აი, მაშინ კატასტროფა ნამ-დვილად იქნება გარდაუვალი.

– თქვენ ამბობთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბ-ჭოს ამ შემადგენლობის დათხოვნა მოხდეს? ეს როგორ არის შესაძლებელი?

– არა, დათხოვნა არ შეიძლება, რადგან ეს არის ატიტუციითა და დამტკიცებული და პროცედურულად არჩეული ორგანო და

მისი ასე დათხოვნა არ შეიძლება. ამიტომ გამოსავალი არის ერთადერთი: ორგანულ კანონში ცვლილებით უნდა შეიქმნას სხვა ორგანო, რომელიც იმავე ფუნქციებით იქნება აღჭურვილი.

როდესაც ეს ახალი ორგანო შეიქმნება, მაშინ ეს თავისთავად შეწყვეტს მუშაობასა და არსებობას.

– იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ იზიარებს საერთაშორისო პარტნიორების, ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს და 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა მოსამართლეებს არ დაუდგინდებათ და 10-წლიანი მოსამართლეობის სტაჟის შემთხვევაში შეიძლება ისინი უვადო მოსამართლეები გახდნენ. წულუკიანის ამ მოსაზრებას იზიარებთ?

– სწორედ ეს არის ყველაზე საშიში გადანყვეტილება, რომელიც შეიძლება მიიღონ. საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ამ სამწლიანი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მაინც მოხდებოდა სასამართლო სისტემის გაწმენდა უღირსი მოსამართლეებისგან, მაგრამ ეს იმედიც გადაინურა, როდესაც ეს განცხადება გაა-კეთა იუსტიციის მინისტრმა ნულუკიანმა.

ამიტომ საჩქაროდ არის ღონისძიებები გასატარებელი. ძალიან ძირეული რეფორმებია საჭირო, რომ მოსამართლეების შერჩევა მოხდეს სწორად და სამართლიანად. მეორე, რომ მოსამართლეების გამწესება არ მოხდეს გამოსაცდელი ვადის გარეშე, ვინაიდან, თუ ეს ადამიანები სამუდამოდ დაინიშნნენ მოსამართლეებად, მაშინ

რეფორმირება შეუძლებელი გახდება.

– "მე ვარ მურუსიძე", ფრაზა, რომელიც ისმის მოსამართლეების მხრიდან, რა მესიჯია, რატომ ამბობენ ეს ადამიანები საკუთარ ბიოგრაფიაზე უარს?

ეს არის პირდაპირ იმის თქმა, რომ მურუსიძეს შერჩა მის მიერ ჩადენილი დანაშაულები და სხვებსაც უნდა შერჩეთ. ის მომავალშიც გააგრძელებს ასეთ მავნებლურ და ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ლოიალურ პოლიტიკას. ეს მურუსიძის მსგავს ყველა მოსამარ-

თლეს აწყობს და ამიტომაც აქვთ ეს მესიჯი მათ. თლეთა ეს კორპუს კარგად დანაშაული აქვთ ჩადენილი მთელი ამ ხნის განმავლობაში. ამიტომ ეს ადამიანები საკუთარი თავის გადასარჩენად ყველაფერზე მიდიან.





## Ს.Ს.Ი.Პ – ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

#### ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებ-ლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. Nº14 / 031230725

3. ელ–ფოსტა Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ წიაღით სარგებლობის შედგენილი როექტის მიხედვით.

ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.

გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. ე) ლიცენზიის მფლობელმა მოქალა-

ქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვ-

ნები, მათ შორის "გარემოს დაცვის

შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდესასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით შესაბამისი კანონქვემდებარე ბით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიანის მიმდებარე ტერიტორია, "ქვიანის" გამოფიტული ტუფობრექჩიის (ღორღი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი ნიაღისეულის ჯამური მოცულობა - 877 200 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიანის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი 10 000 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 1 000 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

5 200 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 5 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდეპა 2016 წლის 7 მარტს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 7 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 მარტს დღის 18:00 საათზე

ლიცენზიის 13. სარგებლობის მოქმედების ვადა

20 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასიულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

#### ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთკონკრეტული ხოვნები ობიექტით

#### სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით გებლობის პროექტის მიხედვით.

გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე ნელინადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი ნონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ძათ აკაკა. შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", ქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ' შესაბამისად, წიაღით ქვეპუნქტის სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან

ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების შემთხვევაში შეაჩეროს აღმოჩენის სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოეპს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდესასარგებლო წიაღისეულის ბულია მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველნლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარესოსდაცვითი კანონმდებლობით შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენგამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

მუნიციპალიტეტი, სამტრედიის სოფ. ხუნჯულაურის მიმდებარე ტერიმდ. ცხენისწყალის ქვიშა-ხრეგამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 304 800 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხუნჯულაურის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი 40 870 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 4 087 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

20 635 ლარი

მონაწილეობის 11. აუქციონში

მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად

რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 5 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 მარტს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 7 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 მარტს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

#### იბიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენბიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ—ფოსტა Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.

გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, სამთო საქმიანობის წესებისა და ნორმების დაცვით.

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრუსაქართველოს მოქმედი კანონმოთხოვმდებლობით დადგენილი ნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით მოსაკრებლების სარგებლობისათვის შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის

შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს რესურსით ბუნებრივი კანონებით, სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

#### 6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. თელადგორის მიმდებარე ტერიტორია, "კავთისხევის" კირქვის (საცემენტე) გამოვლინება (კატეგორია  $\mathsf{C}_{\scriptscriptstyle 2}$ , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 918

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმ-

კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. თელადგორის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

24 152 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

2 415,2 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

12 276 ლარი

მონაწილეობის აუქციონში

#### მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 5 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 მარტს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 7 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 მარტს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

20 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენ-

#### ობიექტი №4

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691

## 2. მისამართი/ტელეფონი

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 /

3. ელ–ფოსტა Licenziebi2015@gmail.com

#### 4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების

5. სალიცენზიო პირობები და მოთკონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს

ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით. გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტე-

დ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია თანხმობა სსიპ "სახელმწიფო გასცეს ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ აალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის

რიტორიის შემდგომი რეკულტივაციის

შემთხვევაში. ე) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.

